# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

19 ივნისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№25(9391)
ფასი 40 თეთრი


## შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულთან

სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **ზაალ გელაშვილმა**, ადმინისტრაციის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტები განიხილეს. სახელმწიფო რწმუნებულის, ზაალ გელაშვილის თქმით, რეგიონების განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტია და ამ პროცესის მაქსიმალური ხელშეწყობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება



მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინაციას.

შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ: რწმუნებულის მოადგილე **სერგი მუშკუდიანი**, აპარატის უფროსი **გიორგი მიქელაძე**, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი **მარინა გაჩეჩილაძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **გოჩა ბერიძე**.

მხარის რწმუნებულმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ბორჯომის სასპორტო სკოლის და ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქცია რეაბილიტაციის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა. პროექტი ითვალისწინებს რუსთაველის ქუჩის N107-ში მდებარე შენობის სრულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, სადაც მოეწყობა შესაბამისი დარბაზები შიდა სავარჯიშო სივრცით, სამკითხველო დარბაზი, მედიათეკის სივრცე, საკონფერენციო დარბაზი და საოფისე ოთახები. ასევე ნიკოლაძის ქუჩაზე მიმდინარეობს 37 მეტრი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა.

## მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები



**ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.**

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაბა ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების 3 პროექტს ახორციელებს.

ისტორიაში პირველად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ბაკურიანის სრულ არეალს მოიცავს და წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალ ქსელებს აშენებს, რომელთა ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ 15 000-მდე ბენეფიციარი უწყვეტი, თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებითა და სრულიად ახალი ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზრდება წყლის დებიტი, მოეწყობა რეზერვუარები, სატუმბი სადგურები და აღრიცხვის კვანძები. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება და აშენდება ყველა ობიექტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურორტის განვითარებას. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 150 მლნ. ლარი მოხმარდება

ისტორიული პროექტების მიმდინარეობას ადგილზე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი **დავით კვინიკაძე** მოადგილეებთან და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. შეხვედრას სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს" ხელმძღვანელი **ეკატერინე ორჯონიკიძეც** ესწრებოდა.

ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2026 წელს იგეგმება. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია უახლოეს მომავალში კურორტზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას გეგმავს, რომელიც ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების წმენდას სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით განახორციელებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას

## ბორჯომში მიმდინარეობს აღმშენებლობის პროცესი

ამ სათაურით გაზეთ ,,ბორჯომის" წინა ნომერში (№24, 12 ივნისი, 2025წ) დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო კონკრეტული ფაქტები მიმდინარე წლის მეტად წარმატებული პროექტების განხორციელების თაობაზე, ძირითადად აღწერილი იყო საგზაო და შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტების წარმატებით განხორციელების ფაქტები.

ამჯერად, გვსურს მოგითხროთ არცთუ უმნიშვნელო ობიექტების რეაბილიტაციის, აღდგენა-განახლების სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე.



რეაბილიტირებული ბორჯომის №1 საბავშვო ბაღი

გამოცხადებულია ტენდერი და სამშენებლო სამუშაოები დაიწყება სოფელ ტიმოთესუბნიდან, პატარა და დიდი მიტარბის გავლით, ბაკურიანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის თაობაზე; ხოლო საკირეში, გურეშიძეების უბანში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად აღნიშნული გზების რეაბილიტაციის შედეგად მოწესრიგდება 13,54კმ მონაკვეთის გზა, ხოლო ფეხით სავალი გზის მოწესრიგებისათვის დაიხარჯება 1449928 ლარი.

წარმატებით დასრულდა ახალდაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია და ნამდვილად სასიამოვნო სანახავია გზის გასწვრივ მოწყობილი შესანიშნავი ღობეები.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ბორჯომში, მესხეთის ქუჩაზე და სოფელ ტიმოთესუბანში, ცენტრალური გზის გამყოფი ღობეების რეაბილიტაციისათვის.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისათვის მიმდინარე წელს დაიხარჯება 1233070 ლარი. ამ მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობისათვის დაიხარჯება 720 ათასი ლარი.

წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 315664 ლარი, სოფელ ტბაზე განხორციელდა წყალანირების ქსელის რეაბილიტაცია.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის დაიხარჯა 359840 ლარი.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება რუსთაველის ქუჩის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## გასხვისებული ტერიტორია მუნიციპალიტეტმა უკან დაიბრუნა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2008 წელს აუქციონის წესით გასხვისებული ე.წ ,,პატარა გომნის" ტერიტორია, რომლის ფართობიც 60 000 კვ.მ შეადგენს უკან დაიბრუნა.

კერძო ინვესტორმა, რომელმაც აუქციონის წესით შეიძინა ,,პატარა გომნის" ტერიტორია, ვალდებულება ჰქონდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განეხორციელებინა საცხოვრებელი და კომერციული კომპლექსის მშენებლობა, ასევე ხელშეკრულებით დაევალა შიდა გზების და დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა. ინვესტორმა არ შეასრულა არც ერთი პირობა, რის გამოც მას 2023 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება. კერძო ინვესტორმა ხელშეკრულების შეწყვეტა გაასაჩივრა სასამართლოში, თუმცა მან ორი ინსტანციის სასამართლო წააგო. სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და საჯარო რეესტრის ამონაწერში სასამართლო პროცესის გამო დაფიქსირებული შეზღუდვა მოხსნილია.

## წარჩინებულ სტუდენტებს ფულადი ჯილდო ჩაერიცხათ

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის სტუდენტთა წახალისების პროგრამის ფარგლებში, 2024-2025 სასწავლო წლის, პირველი სემესტრის საბაკალავრო პროგრამების 39 წარჩინებულ სტუდენტს ფულადი ჯილდო 1000 ლარი ჩაერიცხათ.**

**ფულადი ჯილდოთი სარგებლობენ ის სტუდენტები, რომელთაც სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 91 -100 ქულა (A კატეგორია - ფრიადი).**

## ლექცია თემაზე — ,,ვეფხისტყაოსანი 21-ე საუკუნეში"



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორ, პროფესორ **ირაკლი ბრაჭულის** ლექციას, თემაზე „ვეფხისტყაოსანი 21-ე საუკუნეში", დაესწრნენ.

ლექცია ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის **მიტროპოლიტ დანიელის** ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

ლექციას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სასულიერო პირები და ბორჯომის საზოგადოების წარმომადგენლები.

## ბ ე დ ნ ი ე რ ი ე რ ი

**ერის მამად წოდებულმა ილია ჭავჭავაძემ ლექსი ,, ბედნიერი ერი " 154 წლის წინათ, 33 წლისამ დაწერა ეს მეტად საოცარი ლექსი. სამწუხაროდ, ქართველები დღესაც ყოვედღიური მანკიერებით გაძეძგილნი ვცხოვრობთ, გვეგონა ლექსის პათოსი იმ წლებში ხდებოდა და მის შედეგ ჭკუა ვისწავლეთ, ნუთუ დასკვნები ვერ უნდა გამოვიტანოთ? როდემდე?! პოლიტიკური პარტიების ლიდერებო, რადიკალურო ოპოზიციავ, როდემდე ვტკეპნოთ რუსთაველის პროსპექტი, როდემდე გავაგრძელოთ ერთმანეთის მტრობა! ნუთუ ვერ ამჩნევთ, როგორი შავი ღრუბელი გროვდება ჩვენი ბედკრული სამშობლოს ცაზე. უფალმა დაწვას ის თბილი სკამი, რისთვისაც იბრძვით. დიდიხანია ვგრძნობთ, ამ ქვეყნის სიკეთე რომ არ გსურთ. გახსენებისათვის გთავაზობთ სულმნათი ილიას სიმწრით დაწერილ ლექსს „ბედნიერი ერი", იქნებ, ამჯერად მაინც წაიკითხოთ და დასკვები გამოიტანოთ:**

**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?**
**მძიმე ყალნით,**
**ლამაზ ფალნით**
**მორთული და მშვენიერი;**
**უწყინარი,**
**უჩივარი,**
**ქედდრეკილი, მადლიერი;**
**უშფოთველი,**
**ქვემძრომელი,**
**რიგიანი, წესიერი;**
**ყოვლად მთმენი,**
**ვით ჯორ-ცხენი,**
**ნახედნი და ღონიერი.**
**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**ყველა უნჯი,**
**ყველა მუნჯი,**
**გულჩვილი და ლმობიერი;**
**თვალაბმული,**
**თავაკრული,**
**პირს ლაგამი ზომიერი;**
**ყველა ყრუი,**
**ყველა ცრუი,**
**ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;**
**მცირე, დიდი -**
**ყველა ფლიდი,**
**ცუღლუტი და მანკიერი.**
**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**მტვერწაყრილი,**
**თავდახრილი,**
**ყოვლად უქმი, უდიერი;**
**უზლუდონი,**
**გზამრუდონი,**
**არგამტანი და ცბიერი;**
**მტრის არმცნობი,**
**მოყვრის მგმობი,**
**გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;**
**არრის მქონე,**
**არრის მცოდნე,**
**უზრუნველი და მშიერი.**
**ჩვენისთანა ბედნიერი**
**კიდევ არის სადმე ერი?**

# ბორჯომში მიმდინარეობს აღმშენებლობის პროცესი

(გაგრძელება).

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების და ფასადების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 1238940 ლარი.

თორის ქუჩის №6-ში, მრავალსართულიან კორპუსში მიმდინარეობს შენობის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია, ხოლო ავტოსადგურში - სველი წერტილის მოწყობა.

დამთავრდა ბორჯომში ნინოშვილის ქ. №1-ის და ბაკურიანში, გოდერძი ჩოხელის №86-ში მდებარე მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან დაიხარჯება 845595 ლარი. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს: ბორჯომში, რობაქიძის ქუჩის №66-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ორბელიანის ქუჩის №17-ში და №23-ში ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელის, წმ. ნინოს ქუჩის №27-ში ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე გამარჯვების ქუჩის №2-ში ორსართულიანი სახლის თორის ქუჩის მეორე შესახვევის №2-ში მრავალბინიანი სახლის და ნინოშვილის ქუჩის №1-ში კორპუსის სახლის სახურავების რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 653933 ლარი. ამ მიზნით სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ბორჯომში, რობაქიძის ქუჩაზე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის, გურამიშვილის ქუჩის საყრდენი კედლის და მუნიციპალიტეტის მასშტაბით რკინა-ბეტონის და გაზონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (გარდამავალი ობიექტი).

დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის მიზნით, რისთვისაც გათვალისწინებულია 172958 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწყობრში მოიყვანენ გზების გასწვრივ არსებულ სანიაღვრეებს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სისტემატიური ყურადღების ცენტრშია ქალაქსა და დაბა-სოფლებში არსებული სკვერების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რისთვისაც დაიხარჯება 2597244 ლარი. ამ მიზნით გათვალისწინებულია ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა, წაღვერში, პარკის რეაბილიტაცია, ბორჯომში, გურამიშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია და სოფელ ტბაზე, სკვერის მოწყობის სამუშაოები (ეს ობიექტი გარდამავალია). ასევე გათვალისწინებულია რუსთაველის ქუჩის №107-ში, მიმდებარედ და გუჯარეთის გზაზე, ფანჩატურების მოწყობა.

ასევე დაგეგმილია მუსიკალური სკოლის წინ, სკვერის რეაბილიტაცია და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მიმდინარე შეკეთებები.

მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობა. ამ მიზნით ბიუჯეტი ითვალისწინებს 1374682 ლარის, ხოლო მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 121823 ლარი და პროგრამის ფარგლებში დასრულდება 2024 წელს დაწყებული სამუშაოები დვირში, ჭობისხევში და ტბიდან ცემამდე დასრულდა გარე განათების ქსელის მოწყობა.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სულ დაიხარჯება 1341860 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს ნიკოლაძის ქუჩის №4-ში და სააკაძის ქუჩის №81-ში საყრდენი კედლების რეაბილიტაციისათვის, ამასთან გამოცხადებულია ტენდერი, თორის ქუჩაზე მდებარე დავით აღმაშენებლის ტაძრის მიმდებარედ, მდინარე გუჯარულას ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციისათვის.

მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს მოზარდებისათვის სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები. ამ მიზნით ბიუჯეტი ითვალისწინებს 1626985 ლარს და სამუშაოები განხორციელდება ქალაქის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისათვის. სპორტული მოედანი მოეწყობა ტიმოთესუბანში, ასევე დაგეგმილია სპორტული მოედნის მოწყობა სადგერში.




განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულება. ამ მიზნით ბიუჯეტი ითვალისწინებს 1339482 ლარს.

სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის №107-ში სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის მშენებლობა. სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ ჭობისხევში.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის, ჯამში, 1421804 ლარი დაიხარჯა. აღნიშნული თანხით მოხდა ინფრასტრუქტურული პროექტის ზედამხედველობის მომსახურება 2025-2026 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესყიდვა.

როგორც ვხედავთ, მიმდინარე წელს მეტად მასშტაბური ღონისძიებები ტარდება ჩვენი ქალაქისა და დაბა-სოფლების განახლება-აღმშენებლობისათვის, რაც ბორჯომელთა სიხარულს იწვევს.

ამ მასშტაბურ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელებაში უდავოდ დიდია მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელებისა და რიგითი თანამშრომლების წვლილი.

გვწამს, კიდევ უფრო მასშტაბური იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალი!

**ვალერიან ლომიძე.**

ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს

# საიდუმლო მასონური ორგანიზაციების ოცნებები

წინა ნომერში საუბარი იყო დიფ სთეითის მსგავსი საიდუმლო ორგანიზაციებზე, თუ როგორ იბრძვიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დაშლა-დაქუცმაცებისათვის, სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის მმართველობაში აქტიური ჩართვისათვის. მათ საიდუმლო პროექტებში საუბარია იმაზე, თუ როგორ დაშალონ სახელმწიფოები. ასეთი მოქცევის გამო პრეზიდენტის ძალაუფლება გახდება სამიზნე ყოველგვარი თავდასხმისათვის, მაგრამ არა უშავს, მას ჩვენ, ხალხისადმი მიმართვის საშუალებით მივცემთ თავდაცვის უფლებას, ამის გარდა პრეზიდენტს მივცემთ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას. ამ უკანასკნელს ექნება მოტივირება: პრეზიდენტს ჩვენ დავნიშნავთ და რასაც ვეტყვით, ისე იმუშავებს. პრეზიდენტს ქვეყნის არმია ახალი რესპუბლიკური კონსტიტუციის დასაცავად თავის განკარგულებაში უნდა ჰყავდეს, რომლის დაცვის უფლება მას აქვს, როგორც კონსტიტუციის პასუხისმგებელ წარმომადგენელს, პრეზიდენტს შეუმსუბუქდეს უფლება-მოვალეობები.

**...ყოველი უკანონო მოქმედების შედეგი არ უნდა მოეკითხოს პრეზიდენტს.**

**პრეზიდენტს უფლება ექნება პარლამენტის შეკრებისა და დათხოვნისა.**

**— პრეზიდენტს ექნება აგრეთვე მთელი რიგი უფლებები, რაც ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ გავანადგუროთ ყველაფერი, რაც თავიდან ჩვენი მიზნების შესანიღბავად შევიტანეთ, შემდეგ, როცა დადგება დრო, ყოველგვარი მართვა მოვაქციოთ ჩვენი თვითმპყრობელობის სადავეებში, შეუმჩნევლად გაუქმდეს ყოველგვარი კონსტიტუცია.**

ჩვენი თვითმპყრობელობის აღიარება შეიძლება მოხდეს კონსტიტუციის გაუქმებამდეც, ეს აღიარება მოხდება მაშინ, როცა უწესრიგობით, უმუშევრობით, სიღატაკითა და მმართველთა უნიათობით დატანჯული ხალხი იყვირებს, მოგვაშორეთ ესენი და მოგვეცით ერთი საყოველთაო მეფე, რომელიც გაგვაერთიანებს და მოსპობს უწესრიგობის, უმუშევრობის, უთანხმოების მიზეზს — საზღვრებს, ეროვნულობას, რელიგიას, მოგვცემს მშვიდობას, რომელიც ვერ ვპოვეთ ჩვენს მმართველობაში.

**ხალხს ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მივცეთ. ზემოთ მოხსენიებული სურვილის გამოცხადებისათვის, – მოგვშორდით, მოგვეცით მეფე, აუცილებელია განუწყვეტლივ ირეოდეს ყველა ქვეყანაში ხალხთა ურთიერთობა და მთავრობა, რათა ხალხი გადაიღალოს გათიშულობით,**



**მტრობით, ბრძოლით, სიძულვილით, ტანჯვით, შიმშილით. ასეთ შემთხვევაში გოებს (არაებრაელებს) სხვა გამოსავალი არ ექნებათ, გარდა ჩვენი დახმარების იმედისა.**

თუ ჩვენ, ხალხს მივცემთ ამოსუნთქვის საშუალებას, ჩვენი გეგმების შესრულების სასურველი დრო აღარ დადგება.

ვინც კი მეტნაკლებად ფხიზლად მისდევს ცხოვრებას, ხედავს, თუ როგორი სიზუსტით ხორციელდება და რაოდენ ადეკვატურია, პრეზიდენტის შერჩევისა და მოყვანის მომენტიდან დაწყებული კონსტიტუციით დამთავრებული, რაც საქართველოს სინამდვილეში მოხდა. სიონის ბრძენთა ოქმები - ესაა პროგრამა, საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიული გეგმა, რომლის უთუო შესრულებაზე ზრუნავს ადგილობრივი ჩინოვნიკობა და იგი კონტროლირდება გარედან, 300-თა კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ, რომლებსაც გზა აქვთ ატალახებული ამერიკა-საქართველოს შუა სიარულისას.

საქართველოსათვის ბოძებულ (თავსმოხვეულ) გეგმაში არის ასეთი მინიშნებანი, სურვილები და საკეთებელი საქმეები.

**ყველა ეს, ეგრეთწოდებული „ადამიანთა უფლებები", მხოლოდ იდეაში თუ არსებობს, პრაქტიკულად მათი შესრულება შეუძლებელია. ჩვენი სურვილია მშრომელი კაცი იყოს ქრონიკული შიმშილისა და სისუსტის მდგომარეობაში.**

**—„გოები" ცხვრის ფარაა, ჩვენ კი მგლები ვართ, თქვენ იცით, რა მოსდით ცხვრებს, როცა ფარაში მგელი შეიჭრება?**

- საიდუმლო მასონურ ორგანიზაციებში მრავალი გოები შევიყვანეთ, ისინი არ იცნობენ ჩვენს მიზნებს. ღმერთმა ჩვენ, რჩეული ხალხი, დაგვაჯილდოვა განბნეულობით, და სხვის თვალში ამ სისუსტეში არის მთელი ჩვენი ძალა, რომელმაც მიგვიყვანა მსოფლიო მეუფის კარიბჭემდე. ცოტა დაგვრჩა აღვმართოთ შენობა ჩადებულ საძირკველზე.

**— პრესას მთლიანად ჩვენს სამსახურში ჩავაყენებთ. ასევე მოვექცევით ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოებსაც. რა აზრი აქვს თავი დავიცვათ პრესის თავდასხმისაგან, თუ ბროშურების და წიგნების სამიზნედ ვიქცევით? პარტიულ და ოპოზიციურ გაზეთებს გადაცდომებისათვის მკაცრად გავაკრიტიკებთ, მაგრამ თავდასხმის გამეორებისთანავე დაუყოვნებლივ დავხურავთ, ვერავინ გადაურჩება დაუსჯელად ჩვენი ხელყოფის მცდელობას. პრესას დავაკისრებთ სამარკო ანარიცხებს თითოეულ ფურცელზე, ჩვენს სასარგებლოდ გამოცემული იქნება იაფი და ადვილად მისაწვდომი. ჩვენი საწინააღმდეგო გამოცემა იმდენად ძვირი იქნება, რომ გადასახადი დააშოშმინებს ფუჭ ლიტერატურულ მისწრაფებებს. დასჯის საშიშროებით აიძულებს ლიტერატორებს დაემორჩილონ ჩვენს ნება-სურვილს.**

ჩვენი მმართველობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კრიტიკით დავასუსტოთ საზოგადოებრივი გონება, გადავაჩვიოთ განსჯას, რომელიც წინააღმდეგობას იწვევს, გონებრივი ძალა მივმართოთ ფუჭი მჭევრმეტყველებისაკენ.

**ჩვენ დავამშევთ ადამიანებს, „არსობის პურის" საჭიროება აიძულებს გოებს დადუმდნენ და იქცნენ ჩვენს მორჩილ მსახურებად, მათი რიგებიდან აყვანილი აგენტები ჩვენი ბრძანებით პრესაში გამოაქვეყნებენ ისეთ სტატიებს, რომელსაც ჩვენ ოფიციალურ გამოცემაში ვერ ვიხილავთ აზრთა გაცვლა-გამოცვლის აჟიოტაჟში. ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს გეგმებს და პუბლიკასთან მოვიტანთ უკვე მომხდარ ფაქტს, ვერავინ ვერ გაბედავს შეცვალოს ერთხელ მომხდარი.**

**ჩვენ მოვიზიდავთ გართობით, თამაშით, ვნებებით, სახალხო სახლებით, ბანაკებით... მათ პრესის და ტელევიზიის საშუალებებით შევთავაზებთ საკონკურსო შეჯიბრებებს ხელოვნებაში, სპორტის ყველა სახეობაში. ეს ინტერესები საბოლოოდ მოარიდებს მათ გონებას ისეთ საკითხებს, რომელთა გამო შეიძლებოდა მათთან კამათი მოგვსვლოდა. ჩვენ, ხელოვნურად და ღრმად ვუთხრით ფესვებს, წარმოებას, სოფლის მეურნეობას. მუშებს ვაჩვევთ ანარქიას და ალკოჰოლურ სასმელებს, ყოველგვარ ზომებს მივმართავთ მიწიდან გოების ინტელიგენტური ძალების გაძევებისათვის.**

**ჩვენს გამეფებამდე უნდა გავამრავლოთ ფრანკმასონური ლოჟები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათში ჩავითრევთ ყველა ძლიერ და ცნობილ მოღვაწეს.**

საიდუმლო საზოგადოებაში ყველაზე ხშირად შედიან თაღლითები, კარიერისტები და ქარაფშუტები, რომელთაც ადვილად ვამუშავებთ და რომლებიც აამუშავებენ ჩვენი დაპროექტებული მანქანის მექანიზმს. გოები ლოჟაში მიდიან ცნობისმოყვარეობისათვის, კეთილდღეობისათვის. ზოგი კი იმისათვის, რომ საშუალება მიეცეთ პუბლიკის წინაშე განაცხადონ თავიანთი აუხდენელი და უნიადაგო ოცნებები, მათ წყურიათ წარმატებები და ტაშისკვრა, რაშიც ჩვენ ერთობ უხვები ვართ, ყოველივე ეს ხომ ჩვენი მოგონილია.

**ჩვენ ვილვაწეთ იმისთვისაც, რომ შექმნილიყო გაცილებით მეტი პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. პარტიებად განაწილებამ ისინი, ჩვენ ძალას დაუმორჩილა. გოები მზად არიან უბრალო წარმატებას (ლიდერი, თავმჯდომარე, პრეზიდენტი) შესწირონ საბოლოო გეგმები. მსგავსი ფსიქოლოგია მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მათი მართვის სიძნელეებს. ამ გარეგნობით ვეფხვებს სული ცხვრისა აქვთ, თავში კი არაფერი უყრიათ.**

სიკვდილი ყოველი ადამიანის საბოლოო მიჯნაა, უმჯობესია ეს დასასრული დავუჩქაროთ იმ ხალხს, რომლებიც ხელს გვიშლიან გეგმების შესრულებაში, ვიდრე იმათ, ვინც გვეხმარება მიზნის მიღწევაში.

**ჩვენ გავასულელეთ, გავაბანძეთ და გავრყვენით გოი ახალგაზრდობა, ჩვენთვის საჭირო პრინციპებით და თეორიებით.**

ჩვენი მოსამართლეები მოემსახურებიან ჩვენს იდეებს. ჩვენი სასამართლო პერსონალი იმსახურებს არა უმეტეს 55 წლის ასაკისა, რადგანაც, ჯერ ერთი, მოხუცები იცავენ წინასწარ შექმნილ აზრს, ნაკლებად ემორჩილებიან ახალ ბრძანებებს, მეორეც, ეს ხელს შეგვიწყობს ადვილად შევცვალოთ ჩვენთვის არახელსაყრელი პერსონალი. ვინც ისურვებს ადგილზე დარჩენას, ბრმად უნდა დაემორჩილოს ჩვენს განკარგულებებს...

**ყველა სტრატეგიულ თანამდებობაზე მოხვდებიან მხოლოდ ისინი, რომლებსაც ჩვენ აღვზრდით ადმინისტრაციული მმართველობისათვის.** შეიძლება ვინმემ შენიშვნა მოგვცეს, მოხუც მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლება ძვირად დაუჯდება ხაზინას, მაგრამ ვიტყვი, ჯერ ერთი, მათ მოუძებნიან რაიმე საქმიანობას დაკარგულის ნაცვლად, მეორეც, **ჩვენს ხელთ იქნება მსოფლიოს კაპიტალი, ასე რომ... საშიში არ არის არაფერი.**

**ჩვენ არ გვესაჭიროება კოლექტიურობა, კოლექტივიზმი ჩვენი გეგმების ხორცშესხმის მტერია. ჩვენ გავათითოკაცეთ საზოგადოება. ყოველგვარი კოლექტიური ძალების განადგურების მიზნით გავანადგურებთ კოლექტივიზმის პირველ საფეხურს — უნივერსიტეტს, გარდავქმნით, მათ ახალი მიმართულებით. მათი ხელმძღვანელები და პროფესორები თავიანთი საქმიანობისათვის მომზადებულნი იქნებიან საიდუმლო პროგრამებით, რომელსაც დასჯის შიშით, ოდნავადაც ვერ გადაუხვევენ. ჩვენ სწავლებიდან ამოვიღებთ სახელმწიფო სამართლის, აგრეთვე სხვა პოლიტიკური ხასიათის საგნებს. ამ საგნებს ასწავლის რამდენიმე ათეული პირი, გამორჩეული ნიჭის მქონე კაცი. უნივერსიტეტებმა არ უნდა დაუშვან ძუძუმწოვრები, რომელიც კონსტიტუციას ტრაგედიად ან კომედიად აღიქვამენ, დაიწყებენ პოლიტიკანობას, რომლებშიც მათი მამებიც ვერ ერკვეოდნენ. უმცირესობის მიერ პოლიტიკის საკითხებში გაურკვევლობა გაამრავლებს უტოპისტებს, და არასასურველ ქვეშევრდომებს, ამის მაგალითის დანახვა შეიძლება ამ მიმართულებით გოების საყოველთაო აღზრდაში.**

როცა ხელისუფლების სათავეში მოვალთ, სწავლებიდან ამოვიღებთ ყველა არასაჭირო საგანს და ახალგაზრდობას ვაქცევთ ხელისუფლების მორჩილებად, რომლებსაც მმართველი ეყვარებათ, როგორც იმედი და ბურჯი მშვიდობისა და კეთილდღეობისა, კლასიციზმისა და ძველი ისტორიის ყოველგვარ შესწავლას, რომელშიც ცუდი მაგალითი მეტია, ვიდრე კარგი, შევცვლით მომავლის პროგრამით. ადამიანთა ხსოვნიდან ამოვშლით გარდასული საუკუნეების ყველა ფაქტს, რომელიც ჩვენთვის არასასურველია. მათგან დავტოვებთ მხოლოდ მათ, სადაც აშკარად ჩანს გოების მმართველობის შეცდომები.

სწავლების პროგრამაში პირველ ადგილს დაიკავებს სწავლება პრაქტიკულ ცხოვრებაზე, აუცილებელ წყობაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ცუდი ეგოისტური მაგალითების აღმოფხვრაზე, რომელიც ნთქავს ბოროტებას. საკითხის ასეთ დასმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**მკითხველო, გთხოვთ, ამ წიგნის ნაწყვეტები საგულდაგულოდ წაიკითხოთ და კრიტიკულად შეაფასოთ.**

**იაკობ ახუაშვილი (ალგეთი)**

**წიგნის სათაური - „ეკლიანი გვირგვინი მსოფლიოზე"**

**მასალა მოიძია**

**ვალერიან ლომიძემ.**

# ღვაწლმოსილი და დაფასებული პედაგოგი

**ყოველთვის მინდოდა მასზე დამეწერა, მინდოდა განსაკუთრებით მოვფერებოდი, მაგრამ მეძნელებოდა... ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი მის წინაშეც და დედაჩემის წინაშეც... დიახ! დედის წინაშეც, რადგან მის მასწავლებელზე ვსაუბრობ - ნათელა გოგიჩაიშვილზე.**

მეძნელებოდა, დიახ, რადგან დედა კარგი მოსწავლე იყო, საუკეთესო და სათანადოდ რომ ვერ მეთქვა სათქმელი მის მასწავლებელზე?!.. ეს თითქოს გამოცდის ჩაბარებას ჰგავდა, ამიტომ ვერ ვბედავდი,.. მაგრამ ველარც გულში დავიტიე.

დღეს ის იუბილარია. მინდოდა შემერბინა, პირადად მიმელოცა და ჩავხუტებოდი, მაგრამ ვერ შევძელი... მასთან დედაზე საუბარიც მიწევს ხოლმე, რაც ორივეს გვახარებს... თვალებში სხივი უდგება და აშკარად სიამაყით ივსება, როდესაც ყოფილ მოსწავლეებზე საუბრობს...

ამ წერილს შეუთანხმებლად ვაქვეყნებ, ფოტოზეც არ მიმილია ნებართვა. შეიძლება უკეთესი ფოტო მონდომებო-



და გამოსაქვეყნებლად, მეც იქნებ სხვას ავარჩევდი, მაგრამ... პრინციპში, საუკეთესო ფოტო ხომ ისაა, საიდანაც ასეთი სითბო და სიყვარული იღვრება...

ნათელა მასწავლებლის რეგალიების ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, ის ბორჯომის საპატიო მოქალაქე და სამაგალითო პიროვნებაა. მისი ბიოგრაფია დამსახურებულად შევიდა წიგნში, რომელიც სულ ახლახანს გამოიცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. სწორედ მაშინ გადავხედეთ მის განვლილ გზას, თუმცა ,ყველაფერი ვერ ვთქვით.... რაც ვთქვით, მხოლოდ სიყვარულით და უსაზღვრო პატივისცემით!

დაიბადა გორში, 1931 წლის 5 ივნისს, მოსამსახურის ოჯახში. ადრე დაობლდა და დედამ, რომელმაც ოჯახის ტვირთი მარტომ აიღო მხრებზე, დიდი პასუხისმგებლობით აღზარდა ოთხი შვილი. პატარა გოგონამ იცოდა, რომ დედას თავისი კარგი ადამიანობით უნდა შეხიდებოდა და ცდილობდა სამაგალითო შვილი ყოფილიყო. მართლაც, მალამოსავით გოგონა იყო - საქმით თუ სიტყვით,.. და არა მხოლოდ დედისთვის. გონიერი, ბეჯითი ბავშვი გახლდათ, განსაკუთრებით უყვარდა წიგნები. სამყაროს ხმა ესმოდა იქიდან, რასაც მთელი ცხოვრება ყურს უგდებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იქ მიიღო აკადემიური განათლება, რასაც 54 წლის მანძილზე უშურველად გადასცემდა თაობებს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ბორჯომში გაანაწილეს სამუშაოდ. მალე დარწმუნდა, რომ არჩევანში არ შემცდარა. მასწავლებლობა ხიბლავდა და გრძნობდა, როგორ დღითიდღე უყვარდებოდა თავისი საქმიანობა. მოსწონდა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ საგნის სწავლება... ბავშვებში ცნობისმოყვარეობის გაღვიძება, მათთვის სამყაროს გახსნა, ფიზიკასთან ერთად იქცა სიამოვნების წყაროდ.

მკაცრი ეთქმოდა, როგორც მასწავლებელს, მომთხოვნიც... თვლიდა, რომ სწავლა შრომა იყო და არა თამაში... თუმცა, ამ სიმკაცრესთან ერთად, ძალზე ობიექტური, მიუკერძოებული და საოცრად ლოიალურიც იყო. კრიტიკულ მომენტში ყოველთვის მოსწავლის მხარეს იდგა, რადგან თვლიდა, რომ მოზარდს, რომელიც პიროვნული განვითარების გზას გადიოდა, სხვაგვარად სჭირდებოდა ხელის შეშველება. შემდეგშიც, ახალგაზრდა პედაგოგების უდიდესი მხარდამჭერი იყო, რომლებიც ისეთივე მადლიერები არიან, როგორც მისი მოსწავლეები...

მოიხიბლა ულამაზესი ბორჯომის ხეობით და ხეობელებით. არც ბორჯომელებს დარჩათ შეუმჩნეველი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალი და 1955 წელს შეიქმნა კიდეც ერთი, ლამაზი, ქართული ოჯახი. მისი მეუღლე წესიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, პარმენ ხაჩიძე გახლდათ, ვისთანაც, ადამიანური ღირსებებით შემკული სამი შვილი აღუზარდა ქვეყანას. პატიოსნება, ღირსება და წიგნიერება იყო მისი მთავარი მოთხოვნილება, როგორც დედისთვის და როგორც პედაგოგისთვის. ამიტომაც ყოველთვის სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. დღეს, 93 წლის ასაკშიც ძველებურად შრომობს და იღებს თავის შრომის საზღაურს - უზარმაზარ სიყვარულს ყოფილი მოსწავლეებისგან, უკვე მისი საუკეთესო მეგობრებისგან, რომელთა შორის უამრავი საზოგადოებისთვის ცნობილი და პატივსაცემი ადამიანია. ისინი ხშირი სტუმრობით ანებივრებენ, ეფერებიან და ამაყობენ, რომ ნათელა მასწავლებლის აღზრდილები არიან.

**მაია ორთოიძე**

რეპორტაჟი პლატოდან

# ისტორიული პლატოს შუქ-ჩრდილები



**ბორჯომში, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კურორტზე, ყველაფერი ისტორიის ნაწილია. აქ, ყველაფერს სულ სხვანაირი სილამაზე და ხიბლი აქვს. პირადად ჩემთვის, ისტორიული პლატო საოცარ სიმშვიდესთან ასოცირდება, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს. ის ხომ წელიწადის ყველა დროს ადგილობრივებისა თუ ჩამოსული სტუმრებისთვის ყოველთვის საინტერესო სანახავი ადგილია. გამოგიტყდებით, რამდენიმე თვეა აღნიშნულ ტერიტორიაზე აღარ ვყოფილვარ და გადავწყვიტე, რეპორტაჟის სახით მოგაწოდოთ ინფორმაცია ბევრისთვის საყვარელ ადგილზე.**

დავიწყებ იქიდან, რომ პლატოს აღმართიდანვე იგრძნობა ის, რომ საქმე დაწყებულია მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რადგანაც, ბორჯომში არსებული გაუთავებელი წვიმის შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მთის ქანები იშლება და ქვათა ცვენის შესაჩერებლად, დამცავი ბადეა დამონტაჟებული. მუშების გარკვეული ნაწილი იმ წუთებშიც მუშაობდა. კლდის გასწვრივ კი, ამ ბოლო პერიოდში, კლდის ნაპირს საცალფეხო ვიწრო ტროტუარიც გააყოლეს. ეს ცალკე საკითხია. ხომ არ ჯობდა, მარცხენა მხარეს ყოფილიყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკი, ვიდრე მარჯვნივ? უსაფრთხოებას ვგულისხმობ. თუმცა, კლდის დამცავი ბადე მართლა მყარად და უსაფრთხოდ მეჩვენა. ამიტომაც თავი დავანებე ამაზე ფიქრს. გავიარე რამდენიმე მეტრი და ისევ ხელმარჯვნივ, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოედანი ვნახე. გულსა და თვალს მალამოდ ედება, თუმცა ახლოს მივდივარ და რას ვხედავ, მოედანთან მოწყობილი ფანჩატურის სიღრმეში მდგარი ნაგვის ურნა გადავსებულია უამრავი ბოთლით. ნაგავი ყრია ასევე ურნის გარშემოც. ისევ გარეთ გამოვდივარ და თითქმის ყველგან ანალოგიური მდგომარეობაა, ალაგ-ალაგ ნაგავია მიმოფანტული. ვფიქრობ, ნეტავ, ამდენი ნაგავი ექსკურსიაზე ჩამოსულმა ადამიანებმა ხომ არ დაყარეს? თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ადგილობრივებს დაეყარათ. უპასუხისმგებლო ადამიანები ხომ ყველგან მოიძებნებიან? მათ მაგივრად შემრცხვა. ვუყურებ და ვხედავ, რომ ამდენი ნაგვის ფონზე, მართლა ეკარგება ყველანაირ გაკეთებულ-გალამაზებულს საკუთარი პეწი და სილამაზე. რამდენიმე წამი, ჩაფიქრებული, ფეხბურთის სტადიონის კონსტრუქციას შევყურებ და თვალი სულ ბოლო ძელზე შევაჩერე, რომელზეც ელექტროენერგიის კაბელი დევს. წესით და რიგით, ეს არ შეიძლება, თუმცა, იმის თქმა არ შემიძლია, ეს ასე რატომ არის. იქნებ და ქარი იყო და დენის კაბელი ამიტომაც ჩა-



მოვარდა? ახლა სხვა კითხვა მიჩნდება, ენერგო-პროს თანამშრომლებმა ეს რატომ ვერ შენიშნეს? იმედს ვიტოვებ, რომ მალე ეს პრობლემა გამოსწორდება. ვტოვებ აღნიშნულ ტერიტორიას და გზას ვაგრძელებ უკვე ზემოთ, საბაგიროსკენ. მიხარია, რომ პლატოს გიგანტური ბორბალიც მუშაობს. საბაგიროს ტერიტორია, როგორც ვიცით, კერძო პირის საკუთრებაა და შესაბამისად არსებული სივრცეც ღია და დახურულ ვერანდას უკავია. მის მოპირდაპირედ ისევ კერძო საკუთრებაში არსებული ე.წ. კვადროციკლების მწკრივია. ცოტა ზემოთ აუყვები და ხელმარცხნივ, სატყეო სააგენტოს ოფისია, დაკეტილი ჭიშკრითა და ეზოშივე საშეშედ გამზადებული ხეებით სავსე. მის ოდნავ ზემოთ კი, ისევ კერძო საკუთრებაში არსებული კოტეჯებია გასაქირავებელი მაგიდებით. ხელმარჯვნივაა დევნილების მრავალსართულიანი კორპუსიც, სადაც ბოლო წლებია სულ 15 ოჯახი ცხოვრობს. როგორც კორპუსის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა ქალბატონმა მითხრა, ადგილობრივი ბინადრების უმრავლესობამ საკუთრებაში არსებული ბინები გაყიდა და წლებია დაკეტილი აქვთ. მხოლოდ ზაფხულობით, დასასვენებლად ახალი მფლობელები ჩამოდიან. კორპუსის ეზო საოცრად მოწესრიგებულია, რამდენიმე წელია გასართობი სივრცე მოეწყო – საქანელები და ტრენაჟორებია დამონტაჟებული. ეტყობა, რომ მოვლილი-ნაპატრონებია, მოსახლეობა აშკარად უფრთხილდება. რამდენიმე მეტრში დგას მოზრდილი ნაგვის კონტეინერი. ნაგვის მანქანა ნაგვის გასატანად თითქმის ყოველდღე დადის, -სიამაყით მითხრა ქალბატონმა. გზის ხელმარცხნივ ისტორიული კომპოზიტორთა სახლია, რომლის ჭიშკარზეც წერია, რომ კერძო საკუთრებაა და უცხო პირთა შესვლა აკრძალულია. თუმცა აქ, ბოლო პერიოდია სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც შპს **„ორბშენი''** აწარმოებს.

პირველ ეტაპზე ჩატარდა 14 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. მეორე ეტაპზე კი ისტორიული კომპოზიტორთა სახლის ნაწილობრივი დემონტაჟ-რეკონსტრუქცია დაიწყება. ნამდვილად სასიამოვნოა, როდესაც აღნიშნული ისტორიული შენობა ჩვეულ დიდებას დაიბრუნებს, რადგანაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეც იმ თაობას განვეკუთვნები, ვისაც ბავშვობაში ჰქონდა პატივი აღნიშნულ შენობაში უამრავ საინტერესო ღონისძიებას დასწრებოდა. ამიტომაც, ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს ადგილი კიდევ უფრო მეტად გამშვენებულ-გალამაზებული იქნება.

გზის სავალ ნაწილს წმინდა სერაფიმ საროველის დიდებული ტაძრისაკენ მიმავალი ბილიკისაკენ მივუყვები. გზაზევე დგას მოზრდილი ნაგვის კონტეინერი. სიღრმეში შევდივარ და ვხედავ, რომ სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც გავარკვიე, ბეტონის გზა იგება ტაძრამდე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ ადგილს წლის ნებისმიერ დროს უამრავი მნახველი სტუმრობს და ხშირად ტრანსპორტით მოდიან, ფაქტიურად, გასაჩერებელი ადგილი არსებულ ტერიტორიაზე არ არის, ამიტომაც ხელმარჯვნივ, როგორც მითხრეს, ტერიტორია მოსუფთავდება და ტაძრის ტერიტორიაზე შემოსული მანქანებისათვის გასაჩერებელი სივრცე მოეწყობა, რათა მნახველებმა საკუთარი ტრანსპორტის გაჩერება შეძლონ და ფეხით მოსიარულეებისთვისაც მოსახერხებელი იყოს გადაადგილება.

- გულით მიხარია, ჩემს ქალაქში სულ მცირედად გადადგმული სასიკეთო ნაბიჯიც კი, როდესაც პლატოს მომავალზე ვსაუბრობთ, სადაც წლის ნებისმიერ დროს შეუძლიათ ადამიანებს სტუმრობა და დასვენება. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის მაქსიმალური მოფრთხილება გვმართებს, რაც ამჟამად აქ არსებობს და რაც სამომავლოდ იგეგმება. და კიდევ, არის საზღვრები, რასაც არ უნდა გავცდეთ და იმედს ვიტოვებ, რომ პლატო თავის დიდებულ სახეს არასდროს დაკარგავს.

**ნატო მელიქიძე**

# „სამეფოს" სოლო კონცერტი – წაღვერში



**წაღვერის საქალაქო კულტურის სახლის ფრიდონ სულაბერიძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამეფო", მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგა. სოლო კონცერტი მუსიკალურად ბენდ „შარაშ" გააფორმა.**

13 და 14 ივნისს წლების თავდაუზოგავი შრომის შედეგი იხილა საზოგადოებამ წაღვერის საქალაქო კულტურის სახლის ულამაზეს სცენაზე. ანსამბლის ხელმძღვანელმა **გიორგი ანთიამ** კი, მოცეკვავეთა მოძრაობის ბგერებთან სრული თანხვედრით შეძლო ჩვენთვის ეთქვა მთავარი სათქმელი - **ქართული სული და ხელოვნება მხოლოდ შემოქმედება არ არის, მას სიცოცხლისარსთან მივყავართ.**

2 საათის განმავლობაში სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ცეკვა ქართული, აფხაზური, სვანური, აჭარული, ხორუმი, ყაზბეგურ-ალვანური, სამაია, ოსური, ჯეირანი, რაჭული, ფარიკაობა.

ბენდის მიერ შესრულებული ,,ჯანსულო", ,,არხოტის ცასავით", ,,შატილოს ასულო", ,,ტიალო დარიალაო", ,,შქმერის მთა" და სხვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სახელმწიფო რწმუნებული **ზაალ გელაშვილი** და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** ბორჯომის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ფერაძე,** სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე,** ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი **დანიელი**, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა ხარაზიშვილი,** ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი **გაიოზ დვალიშვილი,** სამხატვრო ხელმძღვანელი **რობერტ ნადირაძე,** კულტურის ცენტრის თანამშრომლები და ადგილობრივი მაყურებელი, რომლებიც მქუხარე აპლოდისმენტებით ამხნევებდნენ მონაწილეებს.

–ანსამბლს და მის ხელმძღვანელს ვუსურვებთ წარმატებებს!

ცეკვისადმი უდიდესი სიყვარული აერთიანებთ ამ უსაყვარლეს ბავშვებს. ბავშვი, რომელიც ფეხის ცერებზე ცეკვავს, შესისხლხორცებული აქვს სამშობლო.

**2 დღეა ჩვენს სცენაზე ქართული ქორეოგრაფიის ზეიმია. 7 წლის განმავლობაში, „სამეფომ" შეძლო იმ მღელვარების გამოწვევა, რაც ახლა თქვენს გულებშია, - აღნიშნა წაღვერის კულტურის სახლის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა დალი ქასაშვილმა**

**იზა იანვარაშვილი**

# ბორჯომი – მოსწავლეთა კონფერენციის მასპინძელი!

**ბორჯომი, როგორც მოსწავლეთა კონფერენციის მასპინძელი! - პროექტზე ფიქრი მას შემდეგ დავიწყე, რაც ბაკურიანის საჯარო სკოლაში პირველკლასელთა „კონფერენცია 2025-მა" კარგად, ხმადაბლა ნათქვამი იქნება, ძალიან კარგად ჩაიარა. გათვლილმა თითოეულმა დეტალმა, კონფერენციის მიმდინარეობისას დაუგეგმავმა კითხვა-პასუხმა, მსმენელის მაქსიმალურმა ჩართულობამ მიზნობრივად დამანახა, რომ ჩვენ ეს გვჭირდება. კონფერენციისათვის გათვლილმა აკადემიურმა ჩაცმის სტილმა, დამზადებულმა ბეიჯებმა (სამკერდე ნიშანი), გააზრებულმა საკითხებმა და მოსწავლის, მშობლის გათავისებულმა პასუხისმგებლობამ კარგი შედეგი მოგვცა.**



საფუძველი ჩაეყარა პროექტს, იდეას, რომლის განხორციელება ეტაპობრივად შეიძლება დიდ მასშტაბებს გასცდეს. პროექტის განხორციელება, ჯერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შედგეს, შემდეგ საქართველოს მასშტაბით და ბოლოს, შესაძლოა ბორჯომი ან ბაკურიანი იყოს მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენციის მასპინძელი.

მინდა გაზეთი „ბორჯომის" საშუალებით, მადლობა ვუთხრა მშობლებს ჯილდოსთვის, ზრუნვისთვის, სიყვარულისთვის, რამაც ბევრი სათქმელი გამიჩინა.

მადლობა იმ თბილი და მადლიერი შეტყობინებებისთვის, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მშობლებისგან მივიღე და სახსოვრად ვინახავ, ეს იმდენად ემოციურია.

თქვენი შვილების თვალებში იმ უზარმაზარ მზეს ვხედავ, რომ მეძახიან – იზა მას, რომელსაც ვერაფერი გადაწონის. მათ ჩახუტებამ და ღიმილმა ჩემი სამყარო სხვა ფერებით აავსო.

ხმამაღლა ვიტყვი, რომ ჩვენ ერთად შევძელით დაუვიწყარი მოგონებები შეგვექმნა ერთმანეთისთვის. ჩვენ ერთად საფუძველი ჩავუყარეთ მოსწავლეთა კონფერენციას.

პირველკლასელთა ,,კონფერენცია 2025-მა" ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ვგეგმავდით. გენერალური რეპეტიციის საჭიროებაც დავინახეთ ტექნიკური მხარის უზრუნველსაყოფად. კიდევ უფრო გაგვილამაზა დღე, კიდევ უფრო ემოციური იყო, ოჯახის სხვა წევრები გულშემატკივრობის მიზნით რომ ესწრებოდნენ - მამიკოები, ბებიები, დები.

ყველაზე პატარა კონფერენციის მონაწილეებმა (სამომავლოდ მოსწავლეთა კონფერენციის ფუძემდებლებმა) - საინტერესოდ წარმოადგინეს პრეზენტაციები და ესგ-ს სტანდარტის გათვალისწინებით შეაჯამეს ერთი წელი.

გილოცავთ! თქვენ უკვე უფროსკლასელები ხართ პირველკლასელებისთვის.

წინ უამავი ბედნიერი დღე გელოდებათ. მსურს, მზე, რომელიც ახლა თქვენს თვალებში ანათებს, მუდამ ასე ბრწყინავდეს, გიყვარდეთ და პატივს სცემდეთ ერთმანეთს, პირველმა მასწავლებელმა კი იამაყოს თქვენი წარმატებებით.

მე უკვე ველოდები თქვენს წარმატებებით სავსე ბოლო ზარს.

ახლა კი, კიდევ ერთხელ გაგიზიარებთ პირველკლასელთა ,,კონფერენცია 2025-ზე" პრეზენტატორთა მიერ წარმოდგენილ თემებს:

**ანი ამბროლავამ** წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე – ,,ჩემი პირველი დღე სკოლაში".

**ალექსანდრე გასიშვილი** - ,,სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!" (ქართული ენის სახელმძღვანელოს მიხედვით.)

კონფერენციის შემდეგი მონაწილე გახლდათ **ნია ჩადუნელი** თემით – ,,ჩვენ ვისწავლეთ ქართული ანბანი".

**დემეტრე ყურმაშვილმა, დავით მატოიანმა, სალომე სერიმ და სოფია საყვარელიძემ,** შეგვახსენეს შესწავლილი ანდაზები და მათთან ერთად დარბაზმაც გაიხსენა, რომ ,,ტყუილს მოკლე ფეხები აქვს".

**გიორგი მიქაბერიძემ** წარმოგვიდგინა მის მიერ გახმოვანებული ციცქნა ციყვის ამბავი.

**ალექსანდრე ჯეირანაშვილმა და ელენე უსტიმენკომ** გვიამბო ქართული ასო-ბგერების კარნავალზე.

**ანდრია ჩუბკომ და თამარ მიკირტიჩიანმა** იმუშავეს თემაზე – ,,გრძნობის 5 ორგანო".

ტყუპებმა **- ელენე და ლიზი ადამიანცმა** წარმოადგინეს პრეზენტაცია - ,,ტყუპები" - ქართული ენის სახელმძღვანელოს მიხედვით.

შემდეგი პრეზენტატორები იყვნენ **გეორგი გორნი და მიხეილ ბოლოთაშვილი** - შემოგვთავაზეს პრეზენტაცია მოსწავლეების ჩართულობით შექმნილი მაკეტის - ,,წელიწადის 4 დრო".

**ანდრია ზედგინიძემ** ისაუბრა რიცხვით ღერძზე, წინა და მომდევნო რიცხვებზე. დარბაზიც აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეების მონაწილეობით და რა თქმა უნდა, წესების დაცვით კითხვაზე პასუხობდნენ ხელის აწევითა და ფეხზე ადგომით.

კონფერენცია გააგრძელეს ბიჭებმა **იოანე მელიქიძემ და სანდრო აბესაძემ** თემით ,,3 მარტი - დედისთვის დამზადებული სამახსოვრო ბარათები".

**სესილი ბროევა** – მოგვიყვა შემეცნებით კლუბ ,,მანტია"-ზე.

**დამიანე ნასყიდაშვილმა** კიდევ ერთხელ გვითხრა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი - ,,თავისუფლება".

ღონისძიების დასასრულს, მსმენელთან ერთად ვუყურეთ მომზადებულ ვიდეორგოლს, რომელიც იყო მხოლოდ და მხოლოდ პირველკლასელების დღეებზე, ბაკურიანის საჯარო სკოლაში.

პირველკლასელთა ,,კონფერენცია 2025" მედლების გადაცემით დასრულდა.

მადლობა სკოლის დირექტორს ქალბატონ **თამარ ბლიაძეს** ნდობისთვისა და მხარდაჭერისთვის.

შემეცნებითი ცენტრი ,,მანტია", შემეცნებით კლუბ ,,მანტიასთან" ერთად უამრავ საინტერესო პროექტს შესთავაზებს საგანმანათლებლო საზოგადოებას. ერთად, მხარდაჭერით, ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეგვიძლია.

**იზა იანვარაშვილი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

სპორტი

# მკლავჭიდელებმა გვასახელეს



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილმა** მკლავჭიდში, ევროპის ჩემპიონატში მონაწილე წარმატებულ ბორჯომელ სპორტსმენებს მადლობის სიგელები გადასცეს.

ბორჯომის სასპორტო სკოლის მკლავჭიდის სექციის სპორტსმენი **გოგა ბლიაძე** 50 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა, **ალექსანდრე კაპანაძემ** მესამე ადგილი მოიპოვა, ხოლო **ნელი უსტიმენკო** მეოთხე ადგილზე გავიდა.

მკლავჭიდის 2025 წლის ევროპის ჩემპიონატი რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში გაიმართა.

# ელგუჯა ლომიძემ ლომივით იჭიდავა



**ახალდაბელი ელგუჯა ლომიძე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია! თითოეული ადამიანისათვის აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი სპორტია. ამჯერად თქვენი ყურადღება ჩვენი რაიონის მკვიდრ, ძალიან ყოჩაღ, მიზანდასახულ და შრომისმოყვარე ახალგაზრდისკენ მინდა მივაპყრო - ახალდაბელ ელგუჯა ლომიძეზე, რომელიც აქტიურადაა ჩართული სპორტულ ცხოვრებაში და თავისი ნორჩი ასაკის მიუხედავად, უკვე საკმაო მიღწევებიც აქვს...**

**ამა წლის 13-15 ივნისს, ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც 32 ქვეყანა მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ საქართველოს მოჭიდავეებიც. რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ შენი პატარა რაიონიდანაც აღმოჩნდება სახელოვანი.**

**თავისუფალ ჭიდაობაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე (17) 5 წონით კატეგორიაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა იასპარეზეს და შესანიშნავი სტარტი გამოუვიდათ, გამოვლინდნენ პრიზიორები! 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს ქართველი მსაჯი, რუსლან დარსანია ემსახურებოდა. საჭიდაო ხალიჩაზე მწვრთნელის, გია კვინიკაძის 5 შეგირდი პირველად გავიდა, მათ შორის იყო - ელგუჯა ლომიძე, რომელმაც მეექვსე მედალი მოიპოვა.**

**ელგუჯა ლომიძემ თავისუფალ ჭიდაობაში მიმდინარე ევროპის 17 წლამდელთა ჩემპიონატზე 92 კგ. წონითი კატეგორიის რეპეშაჟში ბერძენი კარლიაოს ჩაიტიდისი 10-0 დაამარცხა, მომდევნო შეხვედრაზე კი ივან ვარანკოს დაეჭიდა, რომელიც 11-5 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა! მისი მოგების შედეგად საქართველოს ნაკრებმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.!**

**ქართველ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ელგუჯა ლომიძეს, ვულოცავთ ამ შესანიშნავ წარმატებას, მომავალშიც მეტ წინსვლას, კარიერულ ზრდასა და უამრავ გამარჯვებას ვუსურვებთ და გვინდა, ის მაგალითი იყოს სხვებისათვის, რომ სწამდეთ საკუთარი თავისა, მიზნების მისაღწევად თავდაუზოგავად იშრომონ, განვითარდნენ და მწვერვალებამდე მიღწევაც არ დააყოვნებს!**

**სპორტის მრავალი სახეობა არსებობს და თითოეულ მათგანს სჭირდება სხვადასხვა დონის ფიზიკური დატვირთვა, ანუ ვარჯიში. ვარჯიში ცხოვრების განუყოფელ ნაწილად უნდა დავნერგოთ, რადგანაც პირველ რიგში, უფრო დისციპლინირებულს გაგვხდის, ასევე, ხორციელ სიჯანსაღეს შეუწყობს ხელს. მხოლოდ ვარჯიშის შედეგად ყალიბდება და იზრდება კუნთოვანი ქსოვილები, რაც სხეულს საკმაო სილამაზესაც ანიჭებს, მითუმეტეს მამაკაცებში, - მას უფრო მეტად მიმზიდველს ხდის.**

**ალბათ ყველასათვის ცნობილია, რომ ნავარჯიშები ადამიანი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ვარჯიშის დაწყებამდე იყო, და როცა ადამიანი ძლიერი ხდება, ამით თავდაჯერებულობასაც იძენს, თავდაჯერებულობა კი აუცილებელია წარმატების მისაღწევად, საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად...**

**ყველაზე მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა, რაც მშობელმა შეიძლება შვილებს მივცეთ, ეს, სპორტული ცხოვრების წესია. სწორედ მშობლები უნდა დავეხმაროთ შვილებს საკუთარი სპორტის პოვნაში, რადგან ძალა და ფიზიკური სიჯანსაღე მხოლოდ ძლიერი შრომის შედეგად მიიღწევა!**

**ნანა კევლიშვილი**

# მივიწყებული ბოტანიკური ბაღი

**11 ივნისს, ბაკურიანის კინოთეატრ „დიდველში" ჩატარდა ღონისძიება-პრეზენტაცია სახელწოდებით „ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღი: დავიწყებული მემკვიდრეობა". პრეზენტაციის ინიციატორი გახლდათ ბაკურიანის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ეკო აქტივისტი ნინო ჩოქური.**

**ღონისძიება მიზნად ისახავდა ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღის ეკოლოგიური, საგანმანათლებლო და კულტურული მნიშვნელობის წარმოჩენას და მისი დღევანდელი მდგომარეობისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.**

**კინოთეატრის დარბაზში გამოფენილი იყო ბოტანიკური ბაღის მცენარეებისა და ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლების ფოტოები.**

**ორგანიზატორმა და ბაკურიანის სკოლის X ბ კლასელებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები თემებზე: ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ისტორია, მიზნები და ამოცანები, მცენარეთა სახეობები და კოლექციები, ბაღის გეოგრფიული მდებარეობა, ჰერბარიუმები და გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი, ბაღის გადარჩენის მნიშვნელობა, სხვა არსებული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები.**

**ღონისძიების მოწოდება გახლდათ:**



**„ჩვენი წარსული ბუნებაში ცხოვრობს – და ჩვენი მოვალეობაც იქ იწყება."**

**ვისაც აინტერესებს ბაკურიანის ბუნება, ვისაც ადარდებს ბოტანიკური მემკვიდრეობის ბედი ან უბრალოდ, სურს მეტი გაიგოს ბაღის ისტორიასა და მისი მომავლის შესახებ, და ვინც ვერ შეძლო ამ არაჩვეულებრივ ღონისძიებაზე დასწრება, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის ქ-ნი ეკატერინე ორჯონიკიძის დახმარებით და გვერდზე დგომით, ამის შესაძლებლობა ახლო მომავალში ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებულ პირებთან ჩართულობით კვლავ მოგეცემათ. არ გამოტოვოთ ეს არაჩვეულებრივი ღონისძიება!**

**რუსუდან სხირტლაძე**